MES 5 22 0001621600

19/12/2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2022 წლის 5 დეკემბერს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.
https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი/ საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაგდა ბოლოთაშვილი - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე /საბჭოს მდივანი;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი მიმართულების დირექტორი / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

ნანა დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:
ალინა კუპრავა
მარიამ აბელიანი
მედეა თუთბერიძე
მანანა მახარაშვილი
ელენე კაკაბაძე
თამარ ახალაძე

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ინტერბიზნესის აკადემია
ინგა მანაშერიძე - დირექტორი

სსიპ - ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი
დირექტორი - ნადეჟდა მანჯავიძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - თამარ სოსანიძე

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი

დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ და მატერიალურ-ტექნიკურ დარგში - იღუმენია თეკლე (სიხარულიძე)
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ირინა დვალი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:20 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ქალბატონი ნანა ყუფუნია მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. შუამდგომლობა ეხებოდა შპს ინტერბიზნესის აკადემიის წერილს, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა ცენტრს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმის“ მე-4 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საოფისე საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს 24-ს, აღნიშნულ პროფესიულ პროგრამაზე დაწესებულებას ამ ეტაპზე არ ჰყავს პროფესიული სტუდენტები.
დაწესებულების წარმომადგენელმა ინგა მანაშერიძემ საბჭოს განუმარტა პროგრამის გაუქმების საფუძვლები, აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ეს პროგრამა კერძო კოლეჯებში აღარ ფინანსდენა სახელწიფო ბიუჯეტიდან, პროფესიული სტუდენტები აღარ ჰყავთ, თუმცა, ზოგადად, ეს პროფესია პოპულარული და მოთხოვნადია.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საქმის კურსში ჩაეყენებინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომ დაფინანსების დადგენილებაში ცვლილებების შეტანისას, ეს გარემოებები გაეთვალისწინებინათ.საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებაში ცვლილების საკითხი, კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ გაუქმების საკითხი.

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გაუქმდეს „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1).**

1. სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნია მიესალმა ექსპერტ მარიამ აბელიანს და სთხოვა, წარედგინა საკითხი, რადგანაც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ალინა კუპრავა, ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, პრეზენტაციის გაკეთებას ვერ ახერხებდა.

ექსპერტმა საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, 2022 წლის 08 სექტემბრის ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ-ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.
სსიპ-ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში ვიზიტი, ბრძანების თანახმად, განახორციელდა 2022 წლის 11,12,13 ოქტომბერს. სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების ვიზიტის დღის განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, დათვალიერდა გარემო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან შეხვედრები გაიმართა ონლაინ რეჟიმში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პირველადი დოკუმენტაცია და კოლეჯის არგუმენტირებული პოზიცია) ანალიზი და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის აღწერილი დასკვნაში. დაწესებულებას თვითშეფასების დოკუმენტით ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე სტანდარტში შეფასებული აქვს როგორც „სრული“, ხოლო მეხუთე სტანდარტში როგორც „ნაწილობრივი“. ექსპერტთა შეფასებებისა და დასკვნის საფუძველზე პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე სტანდარტები შეფასდა როგორც „მეტწილი“, ხოლო მე-5 სტანდარტი შეფასდა როგორც, „ნაწილობრივი“.

ამის შემდეგ, ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით გაცემული რეკომენდაციები და განმავითარებელი რეკომენდაციები.

I,III, IV, V სტანდარტი
ინდიკატორი 1.2.1.3. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები არ არის შემუშავებული პსდ-ს მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაცული არ არის: მიზნების, ამოცანების, შესრულების ინდიკატორების ფორმულირება (კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, დროში გაწერილი) არ არის ასევე განსაზღვრული ამოცანების შესრულებისთვის შესაბამისი საპროგნოზო ბიუჯეტი/ფინანსური რესურსი. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების კორექტირება, განხილვა და დამტკიცება დაგეგმილი აქვს 12.11.2022 დან-11.12.2022 ჩათვლით პერიოდში, ერთი თვის ვადაში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ინდიკატორი 3.1.1.1. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან კოლეჯის შიდა რეგულაციებით არ არის უზრუნველყოფილი კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები, კერძოდ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა არ არის შესაბამისობაში ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებასთან, რომელიც ადგენს ასეთი პირებისთვის ალტერნატიული შერჩევის მეთოდის გამოყენებას - პრაქტიკული მოსინჯვის გზით. ასევე, დაწესებულებამ აპლიკანტების მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციის ნუსხაში აუცილებლად უნდა განსაზღვროს „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა მიერ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის #147 ბრძანებით განსაზღვრული, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აღიარებული დოკუმენტი, ხოლო არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად ,,სსიპ ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესში" სათანადო ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია 11.11.2022 დან - 25.11.2022 წლის ჩათვლით, 15 დღის ვადაში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ინდიკატორი 4.1.1.1. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, რაც ვერ უზრუნველყოფს დაწესებულების მიზნების მიღწევას; კერძოდ დირექტორის მოადგილე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის და დამხმარე სპეციალისტის ფუნქციები არ მოიცავს სწორად განსაზღვრულ მოვალეობებს. ისინი წარმოდგენილია, როგორც შემსრულებელ და ასევე მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირებად, რაც ქმნის ინტერესთა კონფლიქტს, ასევე სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში გაწერილი პასუხისმგებელი/შემსრულებელი პირების მიერ შესასრულებელი ამოცანები/აქტივობები, თანხვედრაში არ არის პერსონალის სამუშაო აღწერილობებთან/ფუნქციებთან. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად შესაბამისი ცვლილებების შეტანა ,,სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის თანამდებობრივ ინსტრუქციაში სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში გაწერილი პასუხისმგებელი /შემსრულებელი პირების მიერ შესასრულებელი ამოცანების/აქტივობების განსაზღვრა პერსონალის სამუშაო აღწერილობების შესაბამისად, დირექტორის მოადგილე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის და დამხმარე სპეციალისტის ფუნქციების დაზუსტება და მოვალეობების სწორად განსაზღვრა დაგეგმილია 11.11.2022 დან - 11.12.2022 წლის ჩათვლით, ერთი თვის ვადაში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ინდიკატორი 4.1.1.2. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, კოლეჯის მიერ დამტკიცებული რეგულაციებით, გეგმებით და სამუშაო აღწერილობით განსაზღვრული

ფუნქცია-მოვალეობები არ არის თანხვედრაში ერთმანეთთან, პოზიციებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად შესაბამისი ცვლილებების შეტანა რეგულაციებში, სამუშაო აღწერილობებში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებში დაგეგმილია 11.11.2022 დან - 11.12.2022 წლის ჩათვლით, ერთი თვის ვადაში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ინდიკატორი 4.1.2.3. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, დირექტორის მოადგილე/ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და დამხმარე სპეციალისტი ჩართულია ყველა იმ პროცესში, რომელთა შეფასება და მონიტორინგიც განსაზღვრულია მათ ფუნქცია-მოვალეობებში, რაც ქმნის ინტერესთა კონფლიქტს. ისინი ვერ იქნებიან ობიექტური შემფასებლები, რაც შეუსაბამობაში მოდის ხარისხის უზრუნველყოფის ახალი კონცეფციასთან. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად დირექტორის მოადგილე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის და დამხმარე სპეციალისტის ჩახსნა იმ პროცესებიდან, რომელთა შეფასებაც განსაზღვრულია მათ ფუნქციამოვალეობებში დაგეგმილია 11.11.2022 დან - 25.11.2022 წლის ჩათვლით, 15 დღის ვადაში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ინდიკატორი 4.1.2.1. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობით და შიდა რეგულაციების მიხედვით პერსონალის პირადი საქმის შემადგენელი ნაწილია ცნობები სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ, თუმცა გადამოწმებით დადგინდა, რომ რიგი პერსონალის პირად საქმეში აღნიშნული ცნობები არ არის განთავსებული. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად კოლეჯის ყველა მოქმედი თანამშრომლის ინფორმირება სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის წარმოდგენაზე, ასევე თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილი ცნობების განთავსება დაგეგმილია 11.11.2022 დან - 10.12.2022 წლის ჩათვლით, ერთი თვის ვადაში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ინდიკატორი 5.1.1.2 კომპონენტი შეფასებულია როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“, ვინაიდან კოლეჯის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები არ არის ხელმისაწვდომი შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის, მეორე სართულზე ასასვლელ მრგვალ კიბეზე ვერ ხერხდება შშმ პირთათვის პანდუსის მოწყობა, კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა (19/05/2022 წ, ბრძანება N 1/46) , რომლის თანახმად დადგენილი სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილება განხორციელდება წლინახევრის ვადაში(1/7/2022-22/12/2023წ). დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია 2023 წლის 22 დეკემბრამდე განახორციელოს გეგმით გათვალისწინებული სპეციფიკური მონაცემების კონსტრუქციის ან ლიფტის მოწყობა.

ინდიკატორი 5.1.2.1. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან კოლეჯს გააჩნია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა (19/05/2022 წ, ბრძანება N 1/46), რომლის თანახმად დადგენილი სტანდარტის მოთხოვნების (დადებითი დასკვნის მოპოვება)დაკმაყოფილება განხორციელდება ექვსი თვის ვადაში (1/7/2022-22/12/2022). დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია აღნიშნულ ვადებში განახორციელოს გეგმით განსაზღვრული ქმედებები. ინდიკატორი 5.2.2.1. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, პსდ-ში საქმისწარმოება არ მიმდინარეობს კანონმდებლობასთან შესაბამისად, არ მიმდინარეობს გამოცემული აქტების, კერძოდ ოქმების და შემოსული კორესპონდენციის სწორი აღრიცხვა. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კოლეჯის საქმისწარმოების წესის შესაბამისობაში მოყვანა, ოქმების და შემოსული კორესპონდენციის სწორი აღრიცხვის წარმოების უზრუნველყოფა დაგეგმილია 11.11.2022 დან - 15.12.2022 წლის ჩათვლით, ერთი თვის ვადაში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. ინდიკატორი 5.1.2.3. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, დაწესებულებაში არ მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, რადგან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა ცვლილებების შეტანის შემდეგ, 2022 წლის 3 ივნისს შესათანხმებლად გაეგზავნა ,,საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახელმწიფო რეზერვების და უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს (კორესპონდენცია N592189 - 03/06/2022წ), თუმცა ჯერჯერობით აღნიშნული დოკუმენტი არ არის შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან, მიმდინარეობს დოკუმენტის შინაარსობრივი გამართვა. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება ,,საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახელმწიფო რეზერვების და უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან დაგეგმილია 11.11.2022 დან - 11.12.2022 წლის ჩათვლით, ერთი თვის ვადაში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა შორენა ჯაფარიძე 14:20 საათზე.

II სტანდარტი (პიანისტ აკომპანიატორის“ და „მუსიკოს რეპეტიტორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები)

ინდიკატორი 2.2.1.3. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან „პიანისტ აკომპანიატორის“ და „მუსიკოს რეპეტიტორის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მოდულში „გაცნობითი პრაქტიკა სამუსიკო ხელოვნებაში“ განმახორციელებელ პირად განსაზღვრულია არაკვალიფიციური პირი (იურისტი), მაშინ როცა დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამის განხორციელების უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად ხელშეკრულების გაფორმება შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიულ მასწავლებლებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის N3 დანართში ცვლილებების შეტანა დაგეგმილია 11.11.2022 დან - 11.12.2022 წლის ჩათვლით, ერთი თვის

ვადაში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ინდიკატორი 2.3.1.1. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან დირექტორის მოადგილე/ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს პროგრამის დაგეგმვა/შემუშავებას, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობას და პროგრამებში ცვლილებების ინიცირებას, ანუ არის როგორც შემსრულებელი, ასევე მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირიც, რაც ქმნის ინტერესთა კონფლიქტს, შესაბამისად ის ვერ განახორციელებს პროგრამების ობიექტურად შეფასებას და განვითარებას. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად დირექტორის მოადგილე-ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, როგორც მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციების დაზუსტება და გამიჯვნა, ინტერესთან კონფლიქტის გამორიცხვა, შესაბამისი ცვლილებების შეტანა ,,სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის თანამდებობრივ ინსტრუქციაში დაგეგმილია 11.11.2022 დან - 25.11.2022 წლის ჩათვლით, 15 დღის ვადაში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ინდიკატორი 2.4.2.3. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, ფაქტობრივი გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ არ ხორციელდება მათი აღრიცხვა. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში" შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის წესის დამატება და შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის განხორციელება დაგეგმილია 11.11.2022 დან - 11.12.2022 წლის ჩათვლით, ერთი თვის ვადაში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

განვითარების მიზნით გაცემული რეკომენდაციები - I,III,IV,V სტანდარტი

ინდიკატორი 1.1.1.2. კოლეჯის მისიის ტექსტი შედგება 2 ნაწილისაგან, შესავალი და ძირითადი ტექსტი, შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდირებულია, დაწესებულებამ გადახედოს მისიის შინაარსს, ჩამოყალიბდეს ერთიანი ფორმულირებით, ასევე სტრატეგიულ გეგმაში, შესაძლებლობებში დაფიქსირებული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ასახოს მისიაში.

ინდიკატორი 3.2.1.5 ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული კითხვარები არ ითვალისწინებს სტუდენტების მიერ დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურების/ადმინისტრაციული მხარდაჭერის, სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის, საბიბლიოთეკო რესურსის შეფასების და სხვა საკითხებს. დაწესებულებას ეძლევა შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაცია, კითხვარის შინაარსი დაკორექტირდეს იმგვარად, რომ სრულად იძლეოდეს დაწესებულების ყველა პროცესისა თუ სერვისის შეფასებას პროფესიული სტუდენტების მხრიდან, რაც დაეხმარება დაწესებულებას ხარისხის გაუმჯობესებაში.

ინდიკატორი 3.2.2.3 დაწესებულების მიერ ჩატარებულ არცერთ კვლევის ანგარიშში არ ჩანს რა რაოდენობის რესპონდენტებია გამოკითხული სამიზნე ჯგუფიდან. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაცია, კვლევის ანგარიშებში

დაზუსტებული იყოს შერჩევის ჩარჩო და შერჩევის მოცულობა, რათა ანგარიშში ჩანდეს კვლევის რელევანტურობა და ნათელ სურათს იძლეოდეს ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

ინდიკატორი 4.1.1.1 დაწესებულებას ჰყავს დირექტორის მოადგილე-ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და დამხმარე სპეციალისტი, ვინაიდან ეს ორი პოზიცია თავისი შინაარსით ერთ საქმეს უნდა ემსახურებოდეს, შემდგომი განვითარების მიზნით, რეკომენდირებულია გადაიხედოს და სტრუქტურაში ჩამოყალიბდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურად.

ინდიკატორი 4.1.2.1 ვინაიდან შრომის შინაგანაწესი წარმოადგენს დამსაქმებელსა და დასაქმებულ პირს შორის შრომითი-სამართლებრივი საკითხების მომწესრიგებელ დოკუმენტს, შემდგომი განვითარების მიზნით, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, პროფესიულ სტუდენტთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები დაარეგულიროს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, სადაც განსაზღვრულია მსგავსი დებულებები.

ინდიკატორი 4.1.2.3 საშტატო განრიგით განსაზღვრული, რიგი პოზიციების საკვალიფიკაციო მოთხოვნებში საკვალიფიკაციო მოთხოვნად განსაზღვრულია ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა, თუმცა ამ მიმართულებით შესაბამისი ცოდნის და უნარების ფლობის დოკუმენტი განთავსებულია მხოლოდ ერთი პირის პირად საქმეში (ქსელის ადმინისტრატორი), დაწესებულების განმარტებით დოკუმენტში არის ტექნიკური ხარვეზი, დაწესებულებას ეძლევა შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაცია, გადახედოს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და დააზუსტოს მსგავსი ჩანაწერები, ვინაიდან ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა მოიცავს ფართო სპექტრს.

ინდიკატორი 4.2.1.2 დაწესებულების 2022 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია პერსონალის განვითარების ღონისძიებების განხორციელება, თუმცა არ არის დეტალური ინფორმაცია, რა სახის ღონისძიებებს გეგმავს დაწესებულება პერსონალის განვითარების კუთხით და არ არის ასახული შესაბამისი ბიუჯეტი, რა სახსრებით გეგმავს კოლეჯი დასახული მიზნის მიღწევას, შემდგომი განვითარების მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია სამოქმედო გეგმაში ჩაშალოს პერსონალის განვითარების კუთხით დაგეგმილი აქტივობები და გაწეროს შესაბამისი ფინანსური რესურსები.

ინდიკატორი 5.2.3.2 მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება არ ახორციელებს უცხოენოვან პროგრამებს, კოლეჯი ხშირად ღებულობს მონაწილეობას საერთაშორისო ღონისძიებებსა და ფესტივალებში. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაცია, საკუთარი შეხედულებისამებრ ვებგვერდზე განათავსოს უცხოურ ენაზე ის ძირითადი ინფორმაცია (მაგ: მისია, ხედვა, ღირებულებები) რაც, მისი საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატის გათვალისწინებით, საერთაშორისო საზოგადოებისთვის გასაზიარებლად მიაჩნია საჭიროდ.

II სტანდარტი

ინდიკატორი 2.1.1.1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამების დამატების შესახებ მიზანშეწონილობის დოკუმენტი არის ზოგადი ხასიათის, დაწესებულებას - შემდგომი განვითარების მიზნით ეძლევა რეკომენდაცია, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში, მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელების საჭიროება და ასახოს ჩატარებული კვლევის შესახებ ინფორმაცია, დატანილი იქნას კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, განხორციელების პერიოდი, გამოყენებული მეთოდები/ინსტრუმენტი, კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა და ჩატარებული კვლევების კონკრეტული შედეგები - სტატისტიკური მონაცემები/ინფორმაცია. ასევე, პროგრამის

განხორციელების მიზანშეწონილობა ითვალისწინებდეს ისეთი კომპონენტების შესწავლას, როგორიცაა: კონცეპტუალური, რესურსული, ეკონომიკური, სამართლებრივი, ოპერაციული მიზანშეწონილობა. ზემოაღნიშნული კოლეჯს დაეხმარება როგორც არსებული პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის შესწავლის, ისე სამომავალოდ პროგრამების განხორციელების დაგეგმვისას.

ინდიკატორი 2.4.2.1. დაწესებულების პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი არ მოიცავს ინფორმაციას: პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობის, განმეორებითი შეფასების და შედეგების გასაჩივრების ვადებთან დაკავშირებით, დაწესებულებას ეძლევა შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაცია, რომ მარეგულირებლით განისაზღვროს სტუდენტთა შეფასების, განმეორებითი შეფასების, შედეგების გასაჩივრებისა და შეფასების შედეგების გაცნობის ვადებთან დაკავშირებით.
ექსპერტმა მარიამ აბელიანმა რეკომენდაციების გაცნობის შემოდგომ საბჭოს წევრებს დეტალურად გაანცო თითოეული სტანდარტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, სახეზეა კოლეჯის მონდომება განვითარების კუთხით, ასევე მიმღებლობა გაცემულ რეკომენდაციებთან და რჩევებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ არის გამოწვევები და ბევრი რამ არის გასაკეთებელი სტანდარტებთან მიმართებით, ის ვერ ხედავს ჯერჯერობით ისეთ პრობლემას, რომელიც შესაძლოა გახდეს ავტორიზაციაზე უარის თქმის საფუძველი.

საბჭოს სხდომა დატოვა ნანა ყუფუნიამ 15:30 საათზე.

ამის შემდეგ სხდომას გაუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შორენა ჯაფარიძე და მიმართა ექსპერტს გაეგრძელებინა საკითხის განხილვა.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის შრომის შინაგანაწესის 21-ე მუხლის მეორე ბ) პუნქტით გარანტირებულია კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით თანაბარ პირობებში სარგებლობის უფლება, რისთვისაც შემუშავებული და დამტკიცებულია ბიბლიოთეკით, ფონოთეკით, ინტერნეტ-რესურსებით სარგებლობის წესები. პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებით დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურს ხელმისაწვდომია მათთვის. რაც შეეხება კოლეჯის ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსების, ხელმისაწვდომობას შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის, მეორე სართულზე ასასვლელ მრგვალ კიბეზე ვერ ხერხდება შესაბამისი პანდუსის მოწყობა, დაწესებულებამ სტანდარტთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით მოიძია ფინანსური რესურსები, განახორციელა გეგმის შემუშავება და დამტკიცება, რომლის შესაბამისად 7/1/2022 - 12/22/2023 წწ ვადაში დაიგეგმა სპეციფიკური მონაცემების კონსტრუქციის ან ლიფტის დამონტაჟება, რის საფუძველზეც აღნიშნული სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისობად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებას არ ყავს შესაბამისი საჭიროების პროფესიული სტუდენტი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა მხრიდან, დაწესებულების წარმომადგენლებთან შეჯერებული პოზიციით ინდიკატორი შეფასებულია ნაწილობრივ შესაბამისობად.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა ექსპერტს კითხვით ჰქონდა თუ არა იდენტიფიცირებული დაწესებულებას რას გააკეთებდა ლიფტს თუ სპეციალურ მოწყობილობას, არსებობდა თუ არა რესურსები, საიდან იყო მოპოვებული და იყო თუ არა საკმარისი აღნიშნული რესურსები და განსაზღვრული ვადა კომპონენტის შესასრულებლად.

ალინა კუპრავას განცხადებით, მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან აღნიშნულთან დაკავშირებით, ლიფტი იქნებოდა თუ სპეციალური მოწყობილობა, რომელიც კიბეზე უნდა დამონტაჟდეს. მისი თქმით, სწორედ ამიტომ აქვს დაწესებულებას 18 თვიანი ვადა განსაზღვრული. მას ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარეობს რესურსების მოძიება, დაწესებულება ეძებს კომპანიას, რომელსაც შეუთანხმდება ფასზე და მოწყობილობის პარამეტრებზე.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა ექსპერტებს და დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ იყო შესაძლებლობა იმისა, რომ შშმ პირებისთვის პირველ სართულზე მოწყობილი ყოფილიყო ისეთი გარემო, სადაც შეძლებდნენ სწავლას.

დაწესებულების დირექტორის განცხადებით, პირველ სართულზე უკვე მოწყობილია გარემო, სადაც შეძლებენ შშმ პირები სწავლას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (პიანისტ-აკომპანიატორი; მუსიკის რეპეტიტორი)

ექსპერტის განცხადებით, თითოეულ პროგრამაზე ყოველწლიურად 16 სტუდენტის სწავლება 2 ჯგუფად - 8-8 სტუდენტი. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით, განმახორციელებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული ისე მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების დირექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის. მისი თქმით, საკმაოდ რთული პროცესი იყო და ბევრი შენიშვნები მიიღო დაწესებულებამ, ნაწილი რეკომენდაციებისა შესრულებული აქვს კოლეჯს, მარეგულირებელ დოკუმენტებთან დაკავშირებით, ყველა გაცემული რეკომენდაცია შესრულებული აქვთ. შემოქმედებით ტურებთან დაკავშირებით, დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ გაზაფხულზე შეხვედრები როდესაც გაიმართა, დაისვა ეს საკითხი, იმიტომ, რომ შემოქმედებითი ტური არის მუსიკალური მონაცემების შემოწმება მუსიკის რეპეტიტორზე და პიანისტისთვის საფორტეპიანო უნარ-ჩვევების შემოწმება. სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ არსებობდა პატარა სირთულე. მისი თქმით, კულტურის სამინისტრო ეძებს გზებს როგორი საფეხურები და რა პროფესიული პროგრამები უნდა არსებობდეს სამუსიკო სფეროში, სამუსიკო-სახელოვნებო განათლების რეფორმაც იწყება, თავადაც არის ჯგუფის წევრი, მაგრამ შეჩერებულია ეს პროცესი, სურვილი დიდია, რომ სამუსიკო ათწლედის დამთავრებულებს მიანიჭონ კვალიფიკაცია, დაწესებულება ახალი პროგრამის დამატებისგან ამიტომ იკავებს თავს, ელოდება ცვლილებებს.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა დაწესებულების დირექტორს კითხვით, ხომ არ ფიქრობდნენ მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების გაკეთებას. მისი თქმით, ეს იქნებოდა კოლეჯის განვითარების ერთ-ერთი მიმართულება.

დაწესებულების დირექტორის განცხადებით, დაინტერესება არის, მაგრამ პროგრამების ხანგრძლივობის გამო იკავებენ თავს პირები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია და დაეთანხმა ნანა ყუფუნიას მოსაზრებას, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების შეფასება ოთხ სტანდარტში არის მეტწილი შესაბამისობა და მე-5 სტანდარტში ნაწილობრივი, არ იყო დრამატული ეს ყოველივე, მან აღნიშნა, რომ ძალიან ღირებული რეკომენდაციები და შენიშვნები იქნა გაცემული ექსპერტთა მხრიდან. ძალიან მნიშვნელოვანია საორგანიზაციო სტრუქტურის დალაგება, რომ კარგად გამოჩნდეს რა საკვალიფიკაციო მოთხოვნები არის თითოეული პოზიციის მიმართ. დოკუმენტებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა გასწორება, მითუმეტეს, ნაწილობრივ შესრულებული აქვს დაწესებულებას. მისი თქმით, დაწესებულებაში პროცესები სწორი მიმართულებით მიმდინარეობს და ვითარდება, ეს მნიშვნელოვანია. ასევე, მისცა რჩევა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ლიფტის ან სპეციალური მოწყობილობის დამონტაჟება, უკვე დაეწყოთ და არ დალოდებოდნენ 18 თვეს და უფრო მალე შეესრულებინათ, შემდგომი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის (ს/კ:218083302) ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, სსიპ-ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯს (ს/კ: 218083302) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 2).**

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, 2.2 კომპონენტის შემოწმების მიზნით შემდეგ პროგრამებზე: პიანისტ-აკომპანიატორი და მუსიკის რეპეტიტორი.მონიტორინგის განხორციელების პერიოდად განისაზღვროს 2023 წლის 5 მარტი. ასევე, I, III, IV და V სტანდარტების შემოწმების მიზნით, მონიტორინგის განხორციელების თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 7 ივნისი.

2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
სხდომის თავმჯდომარე შორენა ჯაფარიძე მიესალმა ექსპერტ მანანა მახარაშვილს და სთხოვა, წარედგინა საკითხი.

ექსპერტმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა და სრული შესაბამისობაში იყო სტანდარტებთან მიმართებით, მხოლოდ გაიცა რამდენიმე განმავითარებელი რეკომენდაცია.
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ 5.2.2. კომპონენტთან (ინდიკატორი 2), კერძოდ ელექტრონული საქმისწარმოების სისტემასთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის მიმოწერა და მათ შორის თანხმობის წერილი ხელშეკრულების პროექტთან ერთად, ელექტრონული საქმისწარმოების ერთიან სისტემაში პსდ-ის 3 მომხმარებლის ჩართვასთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, ექსპერტთა მიერ, კომპონენტი შეფასდა დადებითად. პსდ-ის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოგზავნილი იყო, უკვე ოფიციალურად გაფორმებული ხელშეკრულება ელექტრონული საქმისწარმოების ერთიან სისტემაში ჩართვის შესახებ.
განხორციელებული ვიზიტისა და ფაქტობრივი გარემოებების შედეგად, დაწესებულების საქმიანობა პსდ-ების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისია.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის ფარგლებში, გაცემული იქნა რეკომენდაციები შემდეგ ინდიკატორებთან მიმართებით. ექსპერტთა რეკომენდაციით, სასურველია:

სტანდარტი I
1.1.1 (3) - პსდ-ს ხედვა იყოს კონკრეტული, გაზომვადი და დროში განსაზღვრული.
1.1.1.(4) - პსდ-მ განსაზღვროს გარე დაინტერესებული მხარეები (შედგეს დაინტერესებული მხარეების რეესტრი), რომლებთანაც მოხდება სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტების პროექტების შეთანხმება.
1.2.1 (1) - პსდ-მ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის/დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზაცია უზრუნველყოს საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნათა შესაბამისად.
1.2.1 (3) - სამოქმედო გეგმებში გაიმიჯნოს შესრულების მტკიცებულებები ინდიკატორისგან. შესრულების ინდიკატორები გახდეს გაზომვადი.

1.2.2.(1) - ანგარიშებში უზრუნველყოს სამოქმედო გეგმების შესრულების რაოდენობრივი/ხარისხობრივი მაჩვენებლები და შედეგების ეფექტურობის ანალიზი. ასევე სასურველია ანგარიშში აისახოს შეფასების ეტაპისთვის პსდ-ს საქმიანობაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების ანალიზის შედეგები.

სტანდარტი III

3.1.1. (1) - პსდ-ში ჩარიცხვის პროცედურის მართვისა და პროცესების კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, პსდ-მ სრულად ასახოს კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებულ შესაძლო პროცესებთან დაკავშირებული პროცედურები.

3.1.1.(4) დაკორექტირდეს შინაგანაწესი და კანონიერი წარმომადგენლის მიმართ დადგენილი მოთხოვნები გაიწეროს უშუალოდ ხელშეკრულებაში ან შემუშავდეს ცალკე პროცედურა.

3.2.2.(1) - გადაიხედოს პსდ-ს დებულების შესაბამისი პუნქტი/პუნქტები და სრულად აისახოს პერსონალის პოზიციების/შესრულებული სამუშაოს შესაბამისი ფუნქციები/მოვალეობები.

სტანდარტი IV

4.1.1. (1) - შეტანილი იქნეს ცვლილებები სტრუქტურაში. სქემაში აისახოს მხოლოდ პსდ-ს წესდებით/დებულებით განსაზღვრული მართვაზე პასუხისმგებელი პირები/პერსონალი და სტრუქტურული ერთეულები. ასევე, პერსონალის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებული საკითხები შემუშავდეს ერთიანი დოკუმენტის/ინსტრუქციის სახით.

სტანდარტი V

5.1.1. (5) - შრომის უსაფრთხოების შესახებ პროცედურაში, მკვეთრად გამოიყოს შრომის უსაფრთხოებისა და სამუშაო/სასწავლო გარემოში რისკების მენეჯმენტის პროცედურა. პსდ-ს მიერ უზრუნველყოფილი იქნეს მოწყობილობების პერიოდული შემოწმება-შეკეთების აღრიცხვა. სამუშაო/სასწავლო ადგილებზე განთავსდეს სამუშაოთა შინაარსის შესაბამისი გამაფრთხილებელი და უსაფრთხოების ნიშნები.

5.1.2. (4) - გაიმიჯნოს შინაგანაწესში პროფესიული სტუდენტებისა და პსდ-ს პერსონალის ქცევისა და შრომითი ურთიერთობების შესახებ დებულებები.

5.2.1.(2) - პსდ-მ უზრუნველყოს IT ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული მომსახურებისა და რისკების მართვის დოკუმენტირება (რისკების იდენტიფიცირება/შეფასება, აღმოფხვრისა და პრევენციული ღონისძიებების/გეგმის შემუშავება).

5.2.2.(1) – მატერიალური ფორმით დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალების დამოწმებისას გათვალისწინებული იქნეს ინტერესთა კონფლიქტის პრინციპი.

5.2.2.(3) - პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კურსდამთავრებულების მონაცემებთან აიტვირთოს გაცემული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ელექტრონული ასლები.

5.3.1. (4) - პსდ-ს სამოქმედო გეგმის ანგარიშში აისახოს ზოგადი მონაცემები/პროცენტული მაჩვენებლები ფინანსური ანალიზის/დაფინანსების დინამიკის შესახებ.

სტანდარტი II

დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ წარადგინა გაცემული რეკომენდაციები ორივე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

2.1.1 (1) - კოლეჯმა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას დაურთოს კვლევა ან სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რომელიც უფრო ნათლად აჩვენებს ამ დარგის სპეციალისტების საჭიროებას, დასაქმების შესაძლებლობას და დამსაქმებლების მოთხოვნებს. ასევე, საინტერესო იქნება კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა, არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ თვისობრივი მონაცემების ანალიზით.

2.1.1. (7) - საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარჯები იყოს უფრო დეტალიზებული, მათ შორის გათვალისწინებული იყოს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის და ექსტრაკურიკულური ღონისძიებების ხარჯები.
2.4.1.(5) - პსდ-მ უზრუნველყოს მემორანდუმების საფუძველზე შეთანხმების/ხელშეკრულების გაფორმება პროგრამის/პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების (დასაშვები კვოტა, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის ხელმისაწვდომობა, უსაფრთხოების მოთხოვნები და სხვა) გათვალისწინებით.
2.4.2.(1) - პსდ-ს პროცედურაში „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“ - კორექტირდეს გასაჩივრებასთან დაკავშირებული პუნქტები.
რეკომენდაციების გაცნობის შემდეგ ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა დეტალურად განიხილა I, II და IV სტანდარტი.
შორენა ჯაფარიძემ მიმართა საბჭოს წევრებს განხილულ სტანდარტებთან მიმართებით თუ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
ექსპერტმა ელენე კაკაბაძემ დეტალურად განიხილა V სტანდარტი.

საბჭოს წევრმა დეა აბულაძემ დატოვა საბჭოს სხდომა 17:30 საათზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (მებაღეობა, ბაღის დიზაინი)
ამის შემდეგ დარგის ექსპერტმა განაგრძო საუბარი. მისი განცხადებით, პსდ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს „მებაღეობა“ და „ბაღის დიზაინი“ ახორციელებს მისამართზე: ქ.თბილისი, ქვემო ელიას დასახლება, წმინდა სამების საკათედრო კომპლექსის ტერიტორია. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით გააჩნია საჭირო მატერიალური რესურსი და სათანადოდ მოწყობილი ინფრასტრუქტურა. პროგრამის განხორციელების მიზნით კოლეჯის მფლობელობაშია შემდეგი სივრცეები და რესურსი.
პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ორ ობიექტთან - შპს „გარდენია“ და „საქართველოს საპატრიარქო“, მხარეები ადასტურებენ, რომ ითანამშრომლებენ პროფესიული სტუდენტებისათვის პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების საკითხებზე უვადოდ, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულები საჭიროების მიხედვით, პრაქტიკის ობიექტზე სწავლებისას პროფესიულ სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია ორივე ობიექტის როგორც ფართი, ისე სასწავლო/სამუშაო რესურსი, პროგრამების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით.
ექსპერტის განცხადებით, სასწავლო პროცესის ორ ცვლაში წარმართვისა და საჭიროებისას დისტანციური სწავლების ფორმატის, ასევე შეჭრილი ცხრილის შედგენის შესაძლებლობების გათვალისწინებით პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამებისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა სასწავლო გეგმა, ცხრილები, პერსონალის დატვირთვის ფურცლები. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.
ექპერტის განცხადებით, პროგრამების ბიუჯეტისა და ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მდგრადობა.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა ექსპერტს კითხვით, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება ფაქტობრივად იყო ინიციატორი და ჩართული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავებაში, დაინტერესდა პროგრამების განვითარების მიმართულებით თუ არის ნაბიჯები გადადგმული.

დარგის ექპერტის განცხადებით, დაწესებულება თავად იყო ჩართული ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებაში. მისი თქმით, მოხდა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება და მიეცა რჩევა, რომ უმჯობესი იქნებოდა არქიკადის ახალი ვერსიის შეთავაზება, რომელსაც გამოიყენებდა როგორც პედაგოგი, ასევე სტუდენტი. მისი განმარტებით, შეთავაზებულ რჩევას დაწესებულებაც დაეთანხმა და სამომავლოდ იმუშავებდა აღნიშნულთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კოლეჯის თანამშრომლები ჩართულები არიან უცხოური ლიტერატურის თარგმნაში. კოლეჯი ახდენს უცხოური ლიტერატურის ქართულ ენაზე ხელმისაწვდომობას.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

იღუმენია თეკლე მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშრომლობისთვის და კარგი გარემოს შექმნისთვის. მან აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები იმდენად არგუმენტირებული, საქმიანი და კორექტული იყო, რომ დაწესებულება მადლიერებას გამოხატავდა. მისი განცხადებით, 2019 წელს როდესაც გადავიდნენ მოდულურ სწავლებაზე, მცირე პერიოდის შემდეგ ქვეყანაში პანდემიამ იფეთქა, ამიტომ კოლეჯი ბევრი პრობლემის წინაშე დადგა, მაგრამ დაწესებულებამ მაინც მოახერხა ადგილზე პრაქტიკულ საქმიანობას არ ჩამორჩენილიყვნენ სტუდენტები და მისცეს საშუალება წარმატებით დაესრულებინათ სწავლა. მან კომენტარი გააკეთა კოლეჯიდან გადინების მაღალი მაჩვენებლის შესახებ. მისი თქმით, ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ აპლიკანტებს არ ჰქონდათ გააზრებული აღნიშნული პროფესიის შინაარსი, ამიტომ კოლეჯში მივიდნენ ისეთი პირები, რომლებისთვისაც უფრო საჭირო იქნებოდა მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი კურსი.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლს, პანდემიის პერიოდში თუ ახორციელებდნენ დისტანციურ სწავლებას, ამ ეტაპზეც ხომ არ ფიქრობდა კოლეჯი ჰიბრიდული სწავლების შეთავაზებას გრძელვადიანი პროგრამების შემთხვევაში. ასევე, აღნიშნა, რომ მათი საგანმანათლებლო დაწესებულება დეკორატიული მებაღეობის მიმართულებით იყო ფლაგმანი, ხომ არ ფიქრობდა კოლეჯი სხვა მსგავსი პროგრამების განმახორციელებელ კოლეჯებთან თანამშრომლობას.

იღუმენია თეკლეს განცხადებით, კვირის ერთი დღე კოლეჯს აქვს გამოყოფილი ჰიბრიდული სწავლებისთვის. რაც შეეხება თანამშრომლობას, ყველასთან თანამშრომლობდა დაწესებულება ვინც იყო დაინტერესებული, მეტიც, მისი თქმით, რამდენიმე კოლეჯმა შეიმუშავა მათი დარგის პროგრამები და მათი კურსდამთავრებულები წარმოადგენდნენ წამყვან ძალას.

დასასრულს შორენა ჯაფარიძემ მისცა პირადი რჩევა დაწესებულებას. მისი განცხადებით, მიმდინარეობდა პროცესი დარგობრივი უნარების ორგანიზაციების ჩამოყალიბების და კარგი იქნებოდა, თუ ისინიც ჩაერთვებოდნენ, მებაღეობის მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივ კოლეჯის (ს/კ: 404409261) ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივ კოლეჯს (ს/კ: 404409261) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივ კოლეჯს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 3).**
გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 5 დეკემბერი, რამდენადაც კოლეჯის ავტორიზაციის ამოწურვის თარიღია 2022 წლის 12 დეკემბერი.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 18:20 საათზე ავტორიზაციის საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოლოთაშვილი მაგდა

დანართი 1

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულ ე ნოვანი სტუდენტებ ი სათვის	სწავლებ ი ს ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	24	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8
2	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	61	76	ქართული	12	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	პიანისტ-აკომპანიატორი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0215
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. გორი, სამეფო ქ. #17
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	48
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	174

პროგრამის სახელწოდება	მუსიკის რეპეტიტორი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0215
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. გორი, სამეფო ქ. #17
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	32
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	108
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	138

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	მებაღეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ქვემო „ელია“-ს დასახლება, წმინდა „სამების“ საკათედრო კომპლექსი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	100
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	ბაღის დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ქვემო „ელია“-ს დასახლება, წმინდა „სამების“ საკათედრო კომპლექსი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	34
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115